გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 103

2023 წლის 9 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.05.17.220.01.503), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების კრიზისული ცენტრი (ს/ნ 205169592), რომელიც წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა, სავარაუდო მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილ მომსახურების დაწესებულებას ქალაქ გორში, აგრძელებს თავის საქმიანობას და დაზარალებული მოქალაქეების დახმარებას და დაცვას. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ესაჭიროებათ საოფისე ფართი.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების კრიზისული ცენტრმა (ს/ნ 205169592) 2023 წლის 10 აპრილის N 1000318 8 23 00384151 წერილით დააყენა საკითხი გორის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, სადაც აღნიშნულია, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2017 წლის 15 სექტემბერს გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას (საგანი: ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N 9ა-ში მდებარე შენობაში (ს/კ 66.05.17.220.01.503) პირველ სართულზე არსებული 51.90 კვ.მ ფართი) გაუვიდა მოქმედების ვადა და ითხოვენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კერძოდ, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N 9ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 51,90 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი 66.05.17.220.01.503

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ს/ნ 205169592) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N 9ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული ფართი 51.90 კვ.მ., საკადასტრო კოდი 66.05.17.220.01.503

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე